



**სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ განცხადება
საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ
15 ნოემბერი, 2017 წ.**

მიგვაჩნია, რომ ა.წ. 13 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ გამოცხადებული სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებები დაიგეგმა უაღრესად არაგამჭვირვალედ და სპეციალისტებსა და საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე. შესაბამისად, ჩნდება გაუგებრობა და კითხვები იმის თაობაზე, თუ რას ემსახურება ეს ცვლილებები.

რაც შეეხება დაგეგმილი ცვლილებების შინაარსობრივ მხარეს, ვფიქრობთ, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შერწყმა არ არის მიზანშეწონილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სფეროები ბევრ ქვეყანაში ტრადიციულად ერთი სამინისტროს ფარგლებში იმართება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს შემთხვევაში და გარემოს დაცვის სფეროში ქვეყნისა თუ გლობალურ დონეზე დღეს არსებული გამოწვევების გასამკლავებლად ჩვენ გვჭირდება სრულიად დამოუკიდებელი და სხვა სამთავრობო სექტორების მხრიდან ანგარიშგასაწევი, ძლიერი გარემოს დაცვის სამინისტრო. წარმოდგენილი სამთავრობო ცვლილებები კი ამ პერსპექტივას მნიშვნელოვნად აკნინებს.